რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. თ. მუხრანსკის სახლებ... ...ადლების ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...თათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ...ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ... ზე მაური.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ბატონის-რძალი საქართველოისა მარიამ ისაკის ასული და კნეინა თამარ დავითის ასული გრუზინსკისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს—პირველი თავის შვილის და მეორე ქმრის თავადის ირაკლი გრუზინსკის გარდაცვალებასა 27-ს ამა აპრილს.

პანაშვიდი მიცვალებულისა იქნება 29 და 30 აპრილს, საღამოს 7 საათზედ საკუთარს სახლში. მიცვალებულს გამოასვენებენ სახლიდამ სიონის სობოროში შაბათს 1 მაისს, დილის 10 საათზე; დაასაფლავებენ მცხეთის სობოროს სამეფო სასაფლაოზედ კვირას, 2 მაისს, დილის 11 საათზედ.

ყოველ-დღიური გაზეთი
„დროება“
პირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.
ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 28 აპრილს. „მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: გრაფის ლიტკეს მაგიერად, სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტად დანიშნულია ადრინდელი სახალხო განათლების მინისტრი გრაფ ტოლსტოი.

მოსკვინის იუბილეი დიდის ამბით გარდაიხადეს; დიდ-ძალი ხალხი იყო, ბევრი ადრესები მოუვიდა, ტელეგრამმები, მილოცვა და ბევრი შესხმა წარმოითქვა. განსაკუთრებულს თანაგრძნობითა და აღტაცებით მიიღო ხალხმა გრაფ ლორის-მელიქოვისა და მილიუტინის მილოცვა.

ლონდონი, 28 აპრილს. პოლიციამ მიაგნო ლორდ კავენდიშის მკვლელების კვალს; დატუსაღებულია ჩარლზ მური, რომელიც ახლახან მოვიდა ამერიკიდამ; იპოვნეს აგრეთვე ფაეტონი, რომელშიაც მკვლელები ისხდნენ. როგორც ეტყობა, ეს ამერიკელ ფენიების საქმე უნდა იყოს.

† ახლად გარდაცვალებული ერეკლე, ბატონიშვილის ალექსანდრეს-ძე, იყო მეფის ერეკლე მეორეს შვილისშვილი და გიორგი მეფის ძმისწული. დაიბადა 1818 წელსა ერევანში.

მისი ცხოვრების ამბავი შეერთებულია საქართველოს ისტორიულ გარემოებასთან ამ საუკუნის პირველ წლებში.

აქამომდე თითქმის ყველას გაუგონია და იცის, რომ ერეკლე მეფის გარდაცვალების წინათ სამეფო ოჯახში დარეჯან დედოფლისაგან მოუსვენრობა მოხდა, და, როგორც მაშინ ამტკობდნენ, მოხუცს ირაკლის მემკვიდრეობის წესი შეაცვლევინა ასე რომ გიორგის შემდეგ მეორე ძმებს უფროსობის რიგით უნდა რგებოდათ მეფობა და არა გიორგის შვილს. ამ გარემოებამ გიორგისა და ძმებს შუა უკმაყოფილება ჩამოაგდო და ერეკლეს შემდეგ ალექსანდრე, უმცროსი შვილი ერეკლესი, გაეიდა ბორჩალოში და ... ბრძანებლობდა იქა.

როდესაც მეფე ... გარდაიცვალა და საქართველოში დამკვიდრდა რუსთ მფლობელობა, ალექსანდრე გაეიდა სპარსეთში და სცხოვრებდა ერევანში. იქ ერევნის მელიქის ისააკის ქალი ითხოვა, აწ მგლოვარე დედა ერეკლესი, მარიამ.

ალექსანდრე ბატონიშვილი იმედოვნებდა საქართველოში დაბრუნებას და გამეფებას, და ამისათვის 1811 წელს, კახეთის არეულობის დროს, დაღისტნიდამ გამოჩნდა თუშ-ხევსურებში და ალაზან გაღმა. მას შემდეგ 1827 წლამდე, სანამ რუსები აიღებდნენ ერევანს, იქა სცხოვრებდა. როდესაც ერევანი აიღეს, მელიქმა თავისი ქალი და ყმაწვილი ერეკლე მაშინ რვა-ცხრა წლისა, გადმოიყვანა ტფილისში.

ალექსანდრე ბატონიშვილი არ შეურიგდა რუსებს, დარჩა სპარსეთში; ქალაქ ხოსროვაბადში გამგებელ ხანად იჯდა და ქალდაველ (აისორ) ნესტორიანთ სარწმუნოების კათოლიკოზის (მარშიმონის) და ითხოვა მეუღლეთ. გარდაიცვალა 1852 წ., დასაფლავებილია თეირანში, სომხის ეკკლესიის კარებთან. მასთან ხლებულნი ქართველნი თავად-აზნაურნი ვინც დარჩენილიყვნენ ხოსროვაბადში, ზოგი დაბრუნდა საქართველოში, ზოგი, აისორებში ოჯახ-მოკიდებული, იქვე დარჩა.

ერეკლე, აქ მოყვანილი, რამდენისამე ხნის შემდეგ რუსეთში გაგზავნეს სამხედრო სასწავლებელში (კორპუსში). შემდეგ სამსახურში იყო ცოტაოდენს ხანსა, სიკვდილამდე მუდამ ტფილისში სცხოვრებდა.

სამს წელიწადს 1862, 1863 და 1864 წლებში ერეკლეს თაოსნობით შრომობდა ქალაქში წერა-კითხვის კომიტეტი, რომელსაც ორი სკოლა ჰქონდა გამართული: ერთი მთა-წმიდაზე, მეორე ავლაბარში. ეს სკოლები, რომელსაც ხალხი ერეკლეს სკოლას ეძახდა, პირველი წესიერად გამართული ქართული სკოლები იყო, რომელზედაც იხარჯებოდა წელიწადში ერთად ორსავეზე ას სამოც-და-ათ თუმნამდე. ამ სკოლებში საგნების სწავლა ქართულად იყო; ამას გარდა სომხებს სომხურ ენას და საღმრთო წერილს სომხურად ასწავლიდნენ. შაგირდები თითოში 75 სულამდე ითვლებოდა, სწავლისათვის შაგირდებს ფასი არ ერთმეოდა, სასწავლო ნივთები და წიგნები მუქთად ურიგდებოდა. მუქთმა სწავლებამ თუ სხვა ბოროტმა კაცებმა ხალხში პირველსავე ხანში ხმა დააგდეს, ვითომც სალდათების გაყვანა უნდათო და ეგ სკოლა იმიტომ გამართესო. ამ ხმამ ცოტათი დააფრთხო შაგირდები, მაგრამ მაინც საგრძნობელი არ იყო. შემდეგ ამ ხმას ზედ დაურთეს ის ხმაც, ვითომც სომხის ყმაწვილების გაქართველება უნდოდესთო. ამასთანავე როდესაც ერეკლე 1863 წელს სამზღვარ გარეთ წავიდა, კომიტეტმა, (რომელშიაც ითვლებოდა თ. ივანე პავლეს-ძე თუმანოვი და ექიმი იოანესიანი) ვერ გამოიჩინა მხნეობა და 1864 წელს

## „დროების“ ფელეტონი, 30 აპრილი

†

ხანგძლივ მბჟუტავი, შუქ-მიხდილი
განქრა ლამპარი:
ამმან დარეკა აღსრულების გლოვისა ზარი!
ზარი საზარი, მაგრამ წესი შემოქმედისა,
ზარი საერთო მომაკვდავთა მიცვალებისა.

*

დღეს აღესრულა დიდთ ქართველთა ბატონიშვილი,
გუშინ ცოცხალი, დღეს კი მიწა, ფერფლი და ცვილი!..
თვით ზენაარმა მიიწვია თვისსა სამყაროს,
რომე ტანჯვანი ეგოდენნი ქვეყნად აკმაროს...

*

წმიდათა-თანა განუსვენოს, ვსთხოვთ მაცხოვარსა,
ნუ უკუ-გვიქცევს მხურვალ ლოცვით ამ სათხოვარსა,
მიიღე წიაღს, შემოქმედო, ეს დიდებული
ბატონის შვილი, ირაკლითა სახელდებული!

*

საქართველოის დიდთა მეფეთ შთამომავალო,
შენს წინაპრებთან—წმინდანებთან აწ მიმავალო,
ამცნე მათ ჩვენი . . . . . . . . .
. . . . . .
რქვი: „მოყვასობას, სათნოებას ვართ მოკლებული“...

*

წმინდა თამარი შეგვავედრებს თვით ზენაარსსა,
კეთილ-დღეობას ჩვენთვის შესთხოვს, ვინც დაგვაარსა,
რომე თქვენ, სულნი, ღვთის წიაღში განისვენებდეთ,
და თქვენი ერნი, მიწიერნი გუნდრუკს გიკმევდეთ!..

ა. ცაგარელი.

28 აპრილს.
ტფილისი.

## ქუთათური ამბები

„საარჩევანო ალოისა“ და ფაციფუცის დღიდინი.—ქუჩებში გაკრული ლექსი.—დეპუტატთ კრება, მისი კანცელარიითურთ.—როგორ და რამდენად უნდა შეინახოს აზნაურობამ იგი.—კიდევ ხმები „გუბერნიის უწყებების“ გამოცემაზე.

—

ჰა, ერთი კვირა-ღა დაგვრჩა... თავის სრული უცნაურობით და მიმზიდველობით, საამო ნუგეშებით და ხრიკებით, გრძნებითა და სიცულლუტით გვიახლოვდება „არჩევანის ალო“ (დრო, სეზონ)... ქუთაისს მოედება შესაფერი „საარჩევანო ცხელება“ და მას მთელი დასავლეთი საქართველო მოაქცევს თავის გულის-ყურს, „რას შვრებიან, რას აკეთებენო?“

ხუმრობა ნუ კი გგონიათ: ხუთი მაზრის და ერთი საგუბერნიო წინამძღოლთა არჩევანი, საურთიერთო ნდობის ბანკის საქმეების ვაჩხრეკა-გადაქოთება და აზნაურთ ბანკის წლიური „ჩვეულებრივ - უჩვეულებრივო“ კრება—და ყველა ესენი სულ ერთს მაისის განმავლობაში უნდა მოხდეს!

უფრო ადვილი წარმოსადგენია ვიდრე დასაწერი, თუ რა ამბავი იქნება ამ დროს ჩვენს ქალაქში, სადაც ეხლავე ამ ლექსისთანა მრავალი გააკრეს ქუჩა-ქუჩა და ბაღში:

მაისი მოდის, მოჩქარობს,
დრო დგება კენჭის-ყრისაო!
რამდენის გული ცანცარობს:
„—მეტოქეთ ვინ იყრისაო?..“

—

სამს ადგილს ფაცი-ფუცია,
გაძვირდა შუხი, ლომ-ზუთხი;
ბანკებს და წინა მძღოლებსა
„ულუფები“ ხვდებათ მწუთხი...

—

მაგრამ ერთის მათგანს ყველაზე

დაიკეტა ეს სკოლები უსახსრობისა გამო.

ერეკლე იყო შუათანა ტანისა, მხრებში წახრილი, როგორც მის პაპას მეფეს ერეკლეს სურათს ვხედავთ. სახითაც მას ამსგავსებდნენ, ვისაც ნეტარხსენებული პაპა მეფე ენახათ; ტიპი წმინდა ბაგრატიონთ (მეფის შტოს) ტიპი ჰქონდა. ხანგრძლივმა ავადმყოფობამ წაართვა მის სახეს სისრულე; შავ თვალ-წარბი, სწორე, ცოტა მოზდილი, მაგრამ ზომიერი ცხვირი, გონიერული სახის გამომეტყველება. საკმაოდ მაღალი და ზრუნვის ბეჭდით აღბეჭდილი შუბლი—კაცის გულს მიიზიდავდა. უჭაწვილ-კაცობაში დიდს ღონიერს ამბობენ, როგორც ბაგრატიონთ ჩამომავლობას მოსდევს, ვერცხლის მანეთს ხელში მოჰკეცდა და რკინის ჯოხს ჰგრეხდაო. უყვარდა ქართული კაბით სიარული.

ბატონიშვილი ერეკლე გარდაიცვალა 63 წლისა, დარჩა ორი პატარა ქალი და მამრობითი სქესი ალექსანდრე ბატონიშვილისა მოისპო. სხვა ბატონიშვილები ერეკლეს გარდა არავინა სცხოვრობს ამ ჟამად ტფილისში. ისინი მოსკოვში და პეტერბურღში სახლობენ.

## დღიური

გუშინ, 28 აპრილს, იყო საზოგადო კრება ტფ. თავად-აზნაურობის სკოლის საზოგადოებისა, რომელზედაც გავლილ წლის ანგარიშის წაკითხვამ ხანგრძლივი და გაცხარებული ბაასი გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ ამ საზოგადოების კამიტეტს რევიზიის დროს აღმოეჩინა, რომ საზოგადოების კასსაში ას ოც-და-ათი თუმანი აკლდაო. თუმცა ეს ფული ხაზინადარს იმ დღეებშივე შეევსო, მაგრამ კრებაზე ატყდა ლაპარაკი—თუ რატომ მოხდა ამ გვარი შემთხვევაო, რატომ უფრო ხშირად რევიზიას არ უშვრებოდით თქვენს ხაზინასაო, იქნება ადრეც იყო ამისთანა შემთხვევაო და სხვ.

კრებამ დაამტკიცა მომავალის წლისთვის ხარჯთ-აღრიცხვა ხსენებულ სასწავლებლისა; ამ ანგარიშით მომავალ წელს სასწავლებელს 28,000 მანეთზე ცოტა მეტი მოუნდება ხარჯად. სასწავლებელს ერთი კლასი კიდევ მოემატება.

შემდეგ ახალ კომიტეტის არჩევას შეუდგნენ. საზოგადოების თავს-მჯდომარედ ამოირჩიეს ისევ ძველი—ბ. კ. ქ. მამაცაშვილი, იმის ამხანაგად აგრეთვე ადრინდელი—ბ. ი. ს. ბოგებაშვილი, წევრებად: კ-ნა მ. ვ. ორბელიანისა, ნ. ზ. ცხვედაძე, დოქტორი ბრ. ბაბაშვილი, ა. ი. სარაჯოვი და შორდანი; ამათ კანდიდატებად: თ. ვ. ს. მიქელაძე და ბ. ბამყრელიძე.

დაწვრილებითი ანგარიში ამ საინტერესო კრებისა ამ დღეებში დაიბეჭდება.

* * *

გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელი წელს საზაფხულოდ სოფ. ახალქალაქში გადადისო, სადაც უკვე დაუქირავებიათ თ. ვ. ა. თარხან-მოურავის სახლები. ამ დღეებში იქ მობრძანდება კნეინა ნ. ა. დონდუკოვ-კორსაკოვისა, რომელიც ამ წმ. ნინოს სასწავლებლის შველ-მომქმედ საზოგადოების თავსმჯდომარედ ითვლება.

* * *

ერთი ვიღაც დიმიტრი დავითაია შემოგვჩივის, რომ ამ თვის 24-ს ჩემი ოსტატები მუშაობდნენ ანანოვის შენობაზედ, სიონის ქუჩაზე, მეხუთე უჩასტკაშიო და ამ დროს ვიღაც ნემეცი მოვიდა და რაღაცაზედ დაუწყო ამ მუშებს გინებაო; შემდეგ ამათ შორის ჩხუბი მოხდა და მე იძულებული ვიყავი აკალოდის ზედამხედველი მომეწვიაო. მაგრამ, დამშვიდების მაგიერ, ამანაც თავის მხრით დაუწყო ჩემს ოსტატს ცემა და შემდეგ პოლიციაში წაიყვანა და დილის 10 საათიდამ საღამოს 5 საათამდინ იქ ჰყავდათ დამწყვდეულიო. ნუთუ ამ პოლიციელებასათვის კანონი არ არისო, ნუ თუ ამათ უფლება აქვთ უდანაშაულო კაცს სცემონ, ესეც არ აკმარონ და დაატუსაღონ კიდეცაო?!

## „დროების“ კორრესპონდენცია.

**ოზურგეთი**, 20 აპრილს. გურულებმა შეიტყვეს, რომ უწმიდესის სინოდის განკარგულებით გურიის ეპარხიის მმართველად დაუნიშნავსთ ქართლის ეპარხიის ვიკარნი, გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე. ამ სასიამოვნო ამბავმა პრთელი გურიის საზოგადოება გაახარა და მოუთმენელის სიჩქარით მოელიან ყოვლად სამღვდელოს მობრძანებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე გურიის ეპარხიის საქმეებს ენერგიულად მოკიდებს ხელს. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, თუმცა უწინდელს მდგომარეობაზედ გაუმჯობესებულია, მაგრამ საშველება კიდევ აკლია და მოახერხებს მოუნახოს წყარო. აგრეთვე ზედამხედველზედ და მასწავლებლებზედ მკაცრი, ყურადღებაა საჭიროა, რომ უბრალოთ სამღვდელების ჯიბიდგან ჯამაგირები, როგორც დღემდის, მუქთად არ მიირთვან. მწერლის თანამდებობიდგან გამორიცხულ მასწავლებლებს, რომელნიც კარგათ ბლომათ ღებულობენ ჯამაგირს, არაფერი არ იციან და ბოვშებს ახდენენ, ამ გვარ კაცებს დაითხოვს და მით მაგიერ ღირსეულ კაცებს განაწესებს.

რაიცა შეეხება დანარჩენ ხელქვეითებს, როგორც კანცელარიის ჩინოვნიკებს, აგრეთვე ბლაღოჩინებსაც გააფრთხილებს, უპატიოსნოს და უიმედოს დაითხოვს ახლავე და მათ მაგიერ ნიჭიერებს და სინიდისიან პირებს დანიშნავს.

ერთის სიტყვით, სრული იმედი გვაქვს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს მობრძანება არა მცირედ ს... გებლობას მოუტანს გურ... ხიაში და სხვათა შორის ს... ობაზედაც მისს ქადაგებას და მწყ... მთავრულ დარიგებას დიდი გავლ... ექმნება; ჩვენში გამრავლდა ამ უკა... ნასკნელ დროს კაცთა-კვლა, ცრ... ვა, ქურდობა.

ოზურგეთელი.

## შენიშვნა

(მ. დ. ჯ. პასუხად.)

გასაკვირველ მდგომარეობაში იმყ... ფება ჩვენი ლიტერატურა. ერთ-პირ... ისმის სამდურავი საერთოთ ლიტერა... ტურის დავარდნაზე, სახალხო და ს... ლებში სახმარებელ წიგნების სრ... უქონლობაზე.

ეს სამწუხარო ჭეშმარიტება არი... მაგრამ უფრო სამწუხარო არის ... მოვლენა, ჩნდებიან პირნი, რომლ... ბიც ცდილობენ ნივთიერად თუ ზნეო... ბით, შეძლების დაგვარ, დაეხმარ... ამ საზოგადო სენს; მაგრამ მათი ... ცადინეობა თითქმის უგავლენო... უნაყოფოდ რჩება, რადგანაც მათ მ... წინააღმდეგედ ჩნდებიან სხვანი, ს... ნი, რომელნიც ყოველ ღონისძიებ... ხმარობენ ხელი მოუცარონ მათ.

იმიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ სალი... ტერატურო ასპარეზს, ამ უკანასკნ... ხანებში არ მოჰმატებია არც ერთ... თვალ თვალსაჩინო მომქმედი პირ... დღეს ჩვენ ლიტერატურაში გაისმ... იგივე გვარები, რომლებიც გაისმ... ნენ ამ ოცის წლის წინათ; დარჩნ... იგივე მომქმედნი პირნი; ლიტერატ... რამაც შეირჩინა თავისი განსაკუთრ... ბული ხასიათი და ეს ხასიათი არ... ოცნება.

ჩვენი ლიტერატურის წარმომა... გენელებმა გარდმოგვცეს კარგი პო... ტური მოთხრობები, ნიჭიერი პოემ... გრძნობით სავსე ელეგიური ლექ... ბი, და ამასთანავე მათ არ ჩანერგ... საზოგადოებაში არც ერთი თესლ... ნამდვილი ცოდნისა. ეს რიგ... ერნი წარმომადგენლები საზოგ...

---

სიმწარე უფრო შეხვდება,
რადგან წელს კენჭის საყარზე
სულ შავი დაენერგება!

—

მრისხანეს თვალით უბღვერის
მას ლეჩხუმ-რაჭა-იმერი,
გურია „კისრულს“ უქადის,
შორით დასცინის მეგრელი...

—

იკითხავთ, „რა ქნას ბედ-შავმა,
„რით შეხვდეს წარჩინებასო,
„რა უექიმოს კუდურმა
„რომ ხელ-ჰყოს მის მორჩენასო?“

—

მოგიგებთ: რა გვენაღვლება
თუ კი წყალს მიაქვს გველ-ჭრელი?
და, ქვემძრომს რითი სჯობია
ადამიანი გულ-ჭრელი?

—

ამ რიგ კაცთათვის ქართული
ესე ანდაზა თქმულია:
„აპრუწუწუნის წამალი
ჭრასი და ნიახურია!“

როგორც ყოველს ამ გვარს შემთხვევისათვის დაწერილს ლექსში, ისე ამაშიაც შეიძლება ცოტათი რამე გადაჭარბებული იყოს, მაგრამ შიგ რომ ბევრი სიმართლეა, ეს ცხადია. ამას გამოაჩენს ახლო მომავალი: „აა, აღდგომა და ხვალეო!“

—

წინამძღოლთაგან აზნაურთ დეპუტატების კრებამდი დიდი ბიჯი არ არი. გუბერნატორმა უთხრა ჯერ კიდევ გუბერნიის წინა-მძღომელს თ. ნ. წერეთელს, ამ ორს დღეში მთავარ-სამმართველოდამ უწყება მოგივათო, რომ მომავალის წლიდამ დეპუტატთ კრების ხარჯის ძღევა სათემო (ზემსკი) ფულებიდამ მოგესპობათო, და თვითონ თავად-აზნაურობამ იზრუნოს აწი ამ ფულების თავის ჯიბიდამ დანიშნვისთვისო. „მეკენჭეებს“ ელდა ეცათ ამის გაგონებით. ცოტა ხნის შემდეგ კი ჩვეულებრივად წამოიძახეს:

— ბანკიდამ მივსცეთო.

— დიდი ბრაწი ჩვენო ბატონებო, გრომშსაც არ მოგართმევთო, ეუბნებიან მათ დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურთა, რომელთაც სააზნაურო კრებაში ხმა არა აქვთ (კენჭი სულ 120 კაცსა აქვს).

სწორედ საფიქრობელია, რომ ბანკიდამ არაფერი მიეცემა დეპუტატთ კრებას და ისევ მეკენჭენი იქნებიან იძულებულნი თავიანთ „საფასედამ“ ამოყაჭონ მათის „დეპუტატთ“ კრებისთვის საჭირო ფული. ჩვენ უსაფუძვლოთ და მოუფიქრებლად კი არ ვიხმარეთ სიტყვა „ს ა ჭ ი რ ო“. დღემდის, როდესაც სათემო ფულით ინახებოდა ეს კრება, ისე ტყუილა-უბრალო ხარჯი იყო, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა: 700 მან. სეკრეტარს ეძლეოდა, 500 მის თანაშემწეს, 370 მ. სამს მწერლებს, 500 მ. საპლისთვის იყო დანიშნული, 400 კანც. ხარჯი, 390 მან. მთარგმნელ... და 80 მან. მგონი დარაჯს; სულ—2940 მ.!

შტატს რომ შეხედოთ, იტყვ... რამე, ალბად, კეთდებაო. ისე უკ... ხონდათ ბაბუა, ისინი რამეს აკეთებ... დენ! ბევრს ეხსოვნება, რომ ოდეს... ის უნივერსიტეტის სტუდენტმა ს. მ—ძემ ამას წინედ სიღარიბის მოწ... მობა ითხოვა დეპუტატთ კრებისაგან. ამ უკანასკნელმა გვიან გაუგზავნა მა... ეგ საჭირო საბუთი, მაგრამ... მა... სირცხვილო... კარგი განათლებისა და კანცელარიისა და მისს სეკრეტ... წყალობით ვერ მიაგნეს ნოვოროსი... კის უნივერსიტეტს, ხან ერთი ქალა... ქის პოლიციისმეისტერს გაუგზავნ... ხან მეორეს „ამა-და-ამ უნივერსიტე... ტის სტუდენტს გარდაეცითო“. ვერც ერთს კრებაზე სეკრეტარს პროტოკო... ლი ვერ შეუდგენია უცოდინარობ... გამო და ყოველთვის სხვა უდგენ...

...დოების გონებითი მოძრაობისა აცხოვრებდნენ ხალხს ტკბილ ოცნებაში, და ოცნება, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ დროებით ავიწყებს კაცს ტანჯვას და სრულიად კი არა ჰსპობს. ჩვენმა ხალხმა გაიღვიძა და აღარა ჰსურს ოცნებით ცხოვრება შეურაცხყოფილია, თუ ჩემი ისტორია დაკარგულია, დავიწყების ღრმა უფსკრულშია,—ის მაინც მინდა გავიგო: თუ რა ვარ ეხლა მე და რა მომელის მომავალში? ეს კითხვა იმდენათ კანონიერად მიმაჩნია, რომ ვბედავ და გეკითხებით ყველას: უმჯობესი არ იქნება ცოტათი შევამციროთ ჩვენი გატაცებული ცქერა განვლილისაკენ და ყოველი ჩვენი ძალა, ჩვენი სწავლა, ჩვენი გონება, ჩვენი გრძნობა მივმართოთ ამ ორ კითხვას: რანი ვართ ეხლა ჩვენ, და რა მოგველის მომავალში? (?)

ზემოთა ვსთქვი, რომ ჩვენში ჩნდებიან პირნი, რომლებიც ცდილობენ დაეხმარნენ დავარდნილ ლიტერატურას, მაგრამ ჩნდებიან სხვები, რომლებიც გზას არ აძლევენ მათ. აქედამ ბადება განხეთქილება, ერთი ერთმანეთის დაუნდობლობა, გაუტანლობა, შურის-ძიება. ერთი სთხრის ორმოს იქ, სადაც მეორე გავლას აპირებს; ერთი აყენებს მთას იქ, სადაც მეორე ცდილობს გაავაკოს; ერთის წარმატება, მეორეს თავის დამარცხებათ მიაჩნია. ერთის სიტყვით, ჩვენი ცხოვრება იმისთანა მდაბალი, ვიწრო თავ-მოყვარეობით არის გარემოცული, რომ მზათა ვართ ყველა და ყველაფერი შთავნთქათ, ოღონდკი დავაკმაყოფილოთ ჩვენი ულირსი ეგოისტური ინსტიქტები და მდაბალი ვნებანი. რომელ ქართველს შეუძლიან სთქვას: „მე ისე ვიქცევი, რომ ჩემი ქცევა შეიძლება საერთო კანონად დაიდვას? ვის არ ახსოვს ჩვენში ის უმაღლესი იდეალი ადამიანური ცხოვრებისა, რომელიც ამბობს: „შენი მოქმედება უნდა იყვეს დამყარებული შენ პიროვან ზნეობით თავისებაზედ, რომელსაც უნდა ჰქონდეს მიღებული აუცილებელ კანონად: ერთობა, ესე იგი, რომ შენი თავისუფალი ნება არ სთურგვნიდეს სხვის თავისუფლებას; რომ შენი ბედნიერება არ იყოს ნაყოფი სხვის უბედობისა; რომ შენი ფუფუნებრივი განცხრომა სხვას არ სტაცებდეს არსებით ლუკმას? დიახ, ჩვენში ყველას შეუძლია თამამად სთქვას: „მე ის არა ვარ, რაც უნდა ვიყო; და არ შემიძლიან არ ვიყო ის, რაცა ვარ!“

დავიწყებულია ჩვენში ეგრეთვე ის ჭეშმარიტება, რომ არავინ არის ვალდებული იყოს ჭკვიანი, გენიოსი, მაგრამ ყველა ადამიანი ზნეობით ვალდებულია იყოს კეთილ სინიდისიანი.

რომ ყველა ეს უმაღლესი ადამიანური იდეალები ჩვენ საზოგადოებას გულში ჰქონდეს შთაბეჭდილი, მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებოდით მოწამენი იმ შესაზარის განხეთქილებისა, რომლის ბადეშიაც არის გაბმული ჩვენი ხალხი რომ მოგვითვალოთ ყველა ჩვენი საზოგადო სენები, საქმე შორს წავა, მე ეს მიზნათაც არა მაქვს. მე მხოლოდ მსურს ვსთქვა ორიოდ სიტყვა მ. დ. ჭ—ის „თამარ დედოფლის“ გარჩევაზე.

კრიტიკული გარჩევა რომელიმე თხზულებისა, რასაკვირველია, ფრიად სასიამოვნო მოვლენა არის ლიტერატურაში, მაგრამ იმისთანა კრიტიკა, რომელიც უჩვენებს თხზულების ნამდვილ შეცდომილებას და თუ შეუძლიან გასწორების გზასაც; ხსნის იმ განზრახვას, რა განზრახვითაც არის თხზულება დაწერილი; უმანკო შეცდომილებისთვის ავტორს ჯვარს კი არ აცვამს, სამუდამო წერას კი არ აღუკრძალავს, არამედ შენიშნავს შეცდომილებას იმ განზრახვით, რომ ავტორმა შემდეგში გაისწოროს ეს შეცდომილება, და მკითხველმაც იცოდეს, რა არის ამ წიგნში ჭეშმარიტება და რა არის შეცდომილება. კრიტიკა აგრეთვე ვალდებულია უჩვენოს თხზულების კარგი მხარეებიც, ცოტა არის, თუ ბევრი ეს მხარეები, სულ ერთია. კრიტიკამ არ უნდა დაივიწყოს აგრეთვე ავტორის ვინაობა. ის, რაც არ უპატიებია გამოჩენილ მწერალს, ის ადვილად შეიძლება ვაპატიოთ მას, ვინც ახლად იწყებს გამოსვლას სალიტერატურო ასპარეზზე. ეს უკანასკნელი პირობა განსაკუთრებით საყურადღებოა იქაც, სადაც ლიტერატურა კარგ მდგომარეობაში იმყოფება,—ჩვენში ხომ აუცილებელი პირობა არის.

რომ ეს პირობა კრიტიკას მხედველობაში არა ჰქონდეს მიღებული, მაშინ ვერც ერთი მწერალი ვერ ავიდოდა იმ სიმაღლემდინ, სადამდინაც ასულა, რადგანაც, თითქმის ყველა მწერლის პირველი ნაშრომი შესანიშნავი არაფრით ყოფილა. მაშინ არც ერთ ხალხს არ ექნებოდა აღყვავებული ლიტერატურა. მავალითების მოყვანა, ვგონებ საჭირო არ იყოს.

არც ერთი ამ პირობათაგანი არ არის დაცული მ. დ. ჭ—ის კრიტიკაში. ის მხოლოდ უჩვენებს წიგნის ნაკლულევანებას, გახსოვდეთ, მხოლოდ ნაკლულევანებას, და ყველას ურჩევს, არავინ წაიკითხოთ ეს წიგნიო. არა, უკაცრავათ, ამ წიგნის წაკითხვა, მ. დ. ჭ—ის სიტყვით შეუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც ისტორია კარგათ აქვს შესწავლილი; ესე იგი: თქვენ, მ. დ. ჭ? იკითხოს იმან, ვინც იცის, ისწავლოს ვინც იცის?! ზაძღეს გამაძღარი?! ზასუქდეს მსუქანი?! თქვენ ღირხართ თქვენ ლოგიკათ!

მ. დ. ჭ. თავის კრიტიკას ასე იწყებს:

„ქართველი კაცი არა სჭამს დათვის, ტურის, ვირის ცხენის ხორცს... მაგრამ მეთოთხმეტე საუკუნეში ისეთი შიმშილობა ჩამოვარდა საქართველოში, რომ ქართველნი „მმძორსა არა წმინდისასა ურიდათ შჭამდნენ.“ მეთვრამეტე საუკუნეში, მოხსენებულ მიზეზისავე გამო, ქართველები „ბალახის კურკას გაახმობდიან. დაფქვიდიან და იმას სჭამდიან;“ ეგრეთვე ერთ დროს ხალხი ისე დამშივდა, რომ ვირის ხორცი ძვირობით იყიდებოდა.“

ამ ფაქტებიდამ მ. დ. ჭ. გამოჰყავს ანალოგია, რომ ეხლანდელი ჩვენი ხალხიც ისე არის გონებით დამშეული, რომ იძულებული ხდება იკითხოს იმისთანა „უარგი“ წიგნი, როგორიც არის „თამარ დედოფალი,“ ეს დასკვნა ძალიან კოჭლობს ნუ თუ ის დამშეული ხალხი უფრო გონივრათ მოიქცეოდა, რომ ვირის ხორციც არ ეჭამა, მხოლოდ იმიტომ, რომ ძროხის ხორცი არა ჰქონდა? ნუ თუ ჩვენმა ხალხმა „თამარ დედოფალი“ არ უნდა იკითხოს, მხოლოდ იმიტომ, რომ მაზედ უკეთესი არა აქვს? რა ლოღიკა არის?! ხალხი მშიერია, (გონებით, თუ სხეულით სულ ერთია), ისე მშიერია, რომ სასიკვდილოთ არის განწირული! ნუ თუ თქვენ მ. დ. ჭ. იმისთანა გულ-ქვაობას იხმარებთ, ნუ თუ გამოიჩენთ იმისთანა მტარვალობას, რომ გაჰკიცხავთ იმ კაცს, რომელიც დამშეულებს მიაწვდის მჭადს, ქერის პურს, გაჰკიცხავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ნაზუქს ვერ აძლევს დამშეულებს„ მაშ, თქვენ არ გიგრძვნიათ, თუ რა არის შიმშილი, თორემ არამც თუ „ბალახის კურკას,“ არამედ თვით ვირის ხორცსაც გემრიელად შეექცეოდით და ორთავ თვალებშიაც აკოცებდით იმ კაცს, რომელიც მოგაწვდიდათ თქვენ ამ ხორცს და მით დაგიხსნიდათ შიმშილით სიკვდილისაგან. ზანა დამშეულმა კაცმა ჭადის ყუა უნდა გადააგდოს მხოლოდ იმიტომ, რომ ბლამანჟე არა აქვს?

მაშ, რათა ჰკიცხავთ ზემოხსენებული წიგნის ავტორს? რას აძლევთ გონებით დამშეულ ხალხს ამ წიგნის ნაცვლად, როდესაც ურჩევთ ყველას ეს წიგნი არავინ წაიკითხოთო?

თქვენა ბრძანებთ.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმას არავინ წაიკითხავდა, თუ რომ უფოფილიყო ამაზე კარგათ დაწერილი.“

აი მოსაზრება! თქვენი სიტყვით აი რა გამოდის: დამშეულ კაცს, რომ ძროხის სუკის მწვადი და ვირის ჩლი-

---

მაგრამ რაც უხდებათ და რასაც ვერ აკეთებენ, ყველა თუ ჩამოვთვალეთ, დიდი ხანი დაგვჭირდება, და თავი, დავანებოთ. ისა ვსთქვათ, თუ რანაირად გაუმჯობესდეს დეპუტატთ კრების კანცელარიის საქმე ისე, რომ აზნაურობის ჯიბისთვისაც სასარგებლო იყოს. ჩვენის აზრით, ერთობ საჭიროა, სეკრეტრად ვინმე ახალი, მცოდნე კაცი ამოირჩიონ წრეულს; გაუქმდეს სეკრეტრის თანაშემწის თანამდებობა, როგორც სრულიად მეტი ადგილი, საქმეთა სიმცირისა და ხშირად უმნიშვნელოების გამო; გაუქმდეს აგრეთვე სრულიად მეტი და ჩვენში გაუგებრობით დაწესებული დეპ. კრების მთარგმნელის ადგილი, რადგანც წელიწადში მგონი არც ერთი ფურცელი არ არის გადასათარგმნელი რუსულად, რომ უმაღლესს მთავრობას წარედგინოს; აწი თუ რამე აღმოჩნდება ორიოდ ფურცელი, სეკრეტარიც არ დაიზარებს მისს მუქთად გადათარგმნას. ზარდა ამისა ყურადღება მიექციოს, რომ როგორც დღემდის იყო დეპ. კრების სადგომისთვის 500 მან. დანიშნული და ნამდვილად კი მხოლოდ 200 მ. აძლევდენ (300 ვის მიჰქონდა ალლაჰმა უწყის) რაღაც გვერდ-მოქცეულს საქათმოში და ყრილობის დროს ამის გამო სხვაგან ჰმართავდენ სხდომებს, შემდეგშიაც ასე არ მოხდეს. მაშასადამე სახლის ქირად დანიშნოს 200 ანუ 300 მანეთი. ამ ნაირად დეპუტატთ კრებისთვის ხარჯად სამართლიანად, რიგითა და კანონით აზნაურობას შეუძლია და უნდა ვამოიღოს მარტო 1,750 (ათას შვიდას ორმოც და ათი) მანეთი. ას-ოც (120) მეკენჭეებზე, რომ გაიყოს ეს ფული თითოს ხვდება წელიწადში—14 მან. მალე სამეგლელოს თავად-აზნაურობაც შემოურთდება და მეკენჭეთ რიცხვი მაშინ ერთი-ორად იმრავლებს, ასე რომ თითო თავად-აზნაურთაგანს, რომელსაც კენჭი ექნება მხოლოდ შვიდიოდე მანეთი გადახდება დეპუტატთა კრებისათვის. მაინც-და-მაინც არც ამ მცირე ხარკის გადახდაა თქვენთვის სასიამოვნო, ბატონებო, მაგრამ, ამ შემთხვევაში, გარემოებას უნდა დამორჩილდეთ და ამითი უნდათ შეეჩვიოთ მომავალში უფრო მეტი საერო გადასახადის ძლევას. რაც დათესეთ იმასვე მკით, თქვენი თავის მეტს ვერავის შესჩივლებთ...

—

ამას წინედ გესაუბრებოდით, რომ აქ რამდენიმე პირმა თავხედურად განიზრახეს აქ რუსული „Губер. Вѣдомости“-ს გამოცემა. მოგახსენეთ, ამბობენ-თქო, რომ მათ სუბსიდიის იმედი აქვთ გუბერნიის ხაზინიდამ. ეხლა კი ამას გარდა, ხმა არის გავრცელებული, რომ ვითომც ბატ. გუბერნატორი დაჰპირებოდეს მათ „სამასს ვალდებულს ხელის მომწერს გიშოვნითო, თუ თქვენი გამოცემა შესდგაო“. საზოგადოებაში დიდი მდურვა ისმის ამის თაობაზე, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ ეს ხმა დასტური იყოს. არ გვჯერა ისიც, რომ რაიმე სუბსიდიაც მიეცესთ „Вѣдомостъ“ გამომცემელთ, რადგანც, წინედაც ვთქვით, რუსეთში ყოველგან დარწმუნდნენ ამ გვარ გამოცემაების, მეტი რომ არ ვთქვათ, სრულიად უსარგებლობაში...

—

ქები მიუტანოთ, ის უთუოთ წვალს თავს დაანებებს და ჩლიქებს დაუწყებს ღრნას. ეს ცილის-წამებაა. ამას არა ხალხი არ იზამს, მეტადრე ჩვენი, თუ, რასაკვირველია, მართალია თქვენი სიტყვები, ვითომც „ამას ახლა გაჰლ-ვიძებია კითხვის ძალაო,“ დღეს როგორც მოგეხსენებათ არის ნიშანი გონებითი გახსნილობისა.

დასამტკიცებლათ თქვენგან გამოთქმულის აზრისა, რომ „თამარ დედოფალი“ არის უვარგი წიგნი, სხვათა შორის მოგყავთ შემდეგი:

„ჩვენ ვიყავით, მაგალითად მოწამე, რომ ერთმა ლექტორმა ამ წიგნაკიდამ ამოგლიჯა და წარმოსთქვა ეს სიტყვები: „რუს გიორგის სვანელებმა ყელზე თოკი მოაბეს და მოჭკვარეს თამარსაო.“

მერე თქვენ უმატებთ:

„თუმცა დათოკილი არა ყოფილა იგი.“

თქვენ ეს მიგაჩნიათ მომაკვდინებელ შეცოდებათ, თქვენ ამისთვის დამნაშავეთ ხდით ერის წინაშე, იმას, ვინც ამ წიგნს აქებს და ურჩევს ვისმეს მიიღოს სკოლებში და აკითხოს ბავშვებს!

სტატიის ბოლოში მ. დ. ჭ. ამბობს: „ეს ისეთი წიგნია, რომელზედაც ლაპარაკიც არა ღირდა,“ (იშრომე ილავწე, ოფლი ღვარე იმ გულწრფელის იმედით, რომ მით საზოგადოების კეთილ-დღეობის შენობას მცირე სვეტს მაინც უმატეფო და მადლობის მაგიერათ ვამოჩნდება ვილაც კრიტიკოსი-მონოპოლისტი, რომელიც გაცვეთილ, ტალახში გასვრილ ვაჭრებთან ერთათ ვაყენებს, საჭიროთ ღალადებს, რომ იმის ნაშრომზე ლაპარაკიც არა ღირსო!) ცოტა კიდევ ქვევით კრიტიკისი ამბობს: „ძიდევ ბევრს ვიტყოდი (ბევრი სთქვათ, უმზგავსი და შორი-შორი?) ამისთანაი ტკბილის ენის“ გამომეტყველობას, მაგრამ აღარა ხსურს (ძალიან კარგი იქნება კვლავაც აღარ ისურვოთ) ვისმეს თავი შევაწყინო (ოღონდაც) ამ უვარგის წიგნაკზედ გრძლათ ლაპარაკით, კმარა ისიც, რაც ვსთქვი.

სტატია ამითი თავდება... „დამნაშავეთ უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე იგი, ვინც ამ წიგნს აქებსო“

არა, ბატონო, დამნაშავეო ის არა უნდა ჩაითვალოს; დამნაშავეთ ის უნდა ჩაითვალოს, ვინც ადამიანის გულწრფელ ნაშრომში იოტის ოდენა სიკეთეს ვერ ხედავს. დამნაშავეთ უნდა ჩაითვალოს ის, ვინც დამშეულებს პირიდამ ლუკმას აცლის; დამნაშავეთ უნდა ჩაითვალოს იგი, ვინც სტკბება დამშეული ხალხის ტანჯვით. ვინ-იგი? მკითხავთ, ბატონო მ. დ. ჭ? აი მოგახსენებთ: ჩვენი ხალხი გონებითი შიმშილისა ჰგრძნობს. შიმშილს მოსდევს ტანჯვა. მაშ ჩვენი ხალხი იტანჯება. ჩნდება კაცი, რომელსაც ჰსურს, შეძლების და გვარ, გაუადვილოს ხალხს ტანჯვა; თქვენ ამ კაცს გზაში ელობებით დაუშლით ტანჯვის შესუბუქებას; მაშ თქვენა გსურთ ხალხის ტანჯვა. იგი, ვისაც სურს ხალხის ტანჯვა, არის დამნაშავე ერის წინაშე-მაშასადამე?...

 რ. ჯავახიშვილი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცკი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

# ქუჩუბ ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ **პირველის ნაწილიდამ** ვიდრე უკანასკნელ **ნაწილამდინ** მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

**ზაქ. ჭიჭინაძისაგან**

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი.

**გიორგი ნ. ძის იოსელიანის** და **გ. რეიოლდის პანსიონში** იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხვ.

მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81

(2—2)

**იურიდიული კაბინეტი**

**იურიდიული ბიბლიოტეკით**

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბილოვის სახლში ძელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

აქ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—23)

**ექიმი შტემბორსკი**

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (1υ—5)

**სადგომი**

8 და 4 ოთახიანი იძლევა ქირით ვორონცოვის წყლის-ნაპირა ქუჩაზედ, სახლის № 13. ჰკითხეთ სახლის-პატრონს ისარლოვისას. (3—3)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება**: პაპიროსის ... კაპ. დაწყებული; სტაქნები, ... 10 კაპ—დამ; პაპიროსები 5 ... მურაბა და ალბომები ნახევარ ფ... და სხვ. (100—80)

„წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართებლობა აცხადებს, რომ მისგან დაარსებულ ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა საზოგადოების სამწერლოში, (მთა-წმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—3)

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ... ლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія** грамоты, **крѣпостные и судебные акты**, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной Грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძის მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

სურამის და ხაშურის სტანციაზე ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—13)


**ტაქსია**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 1 აპრილიდან 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |


ახლად ჩამოსული

**ბებია - ქალი**

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ... წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საქალაქო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის დამზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.

(24—18) ბებია-ქალი დობროდეევა—კაშინსკისა.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Апрѣля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მე...